„დამტკიცებულია“
საქართველოს თავდაცვის მინისტრის
2019 წლის „25“ ,, ---- 06-----“
N------389----------ბრძანებით

სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

ჩასარიცხ პირთან გასაფორმებელი

კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი

ქ. თბილისი **„____“_____“ 20__წ.**

კონტრაქტის მხარეები

♦ **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომ _ სამინისტრო), წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის ძალების (შემდგომ - თავდაცვის ძალები) გენერალური შტაბი სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსის პოლკოვნიკი ირაკლი ყოლბაის** სახით,

♦ _____ (სახელი და გვარი)

(შემდეგ _ მოსამსახურე)

დაბადებული: ☐☐ - ☐☐ ☐☐☐☐
პირადი N ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐

რეგისტრირებული მისამართზე:

_____

სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“ (შემდეგ - აკადემია), **წარმოდგენილი – აკადემიის რექტორის _____ სახით.**

პრეამბულა

მოსამსახურე აცნობიერებს, რომ სამხედრო სამსახურის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია ნაწილობრივ შეიზღუდოს მისი როგორც სამხედრო მოსამსახურის უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე დაექვემდებაროს სამხედრო სამსახურისთვის განსაზღვრულ სამართლებრივ რეჟიმს. მხარეები ვმოქმედებთ, რა საკუთარი ნებით საქართველოს კანონმდებლობით საფუძველზე, ვდებთ ამ კონტრაქტს ქვემოთ მოცემული პირობებით:

მუხლი 1. კონტრაქტის საგანი

1. მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებებს:

ა) შეასრულოს კონტრაქტით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით და პირობებით იმსახუროს სამინისტროს სამხედრო სამსახურში.

2. სამინისტრო კისრულობს ვალდებულებას:

ა) სამხედრო სამსახურის ვადაში გადაუხადოს მოსამსახურეს ანაზღაურება ამ კონტრაქტით განსაზღვრული წესით;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მოსამსახურე სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი შრომითი და სოციალური პირობებით.

მუხლი 2. სამხედრო სამსახურის ვადა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი

1. სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს აკადემიაში ან უცხო ქვეყნის სასწავლებელში სწავლის პერიოდისა და ოფიცრის თანამდებობაზე 5 (ხუთი) კალენდარული წლის ვადით სამხედრო სამსახურის ჯამს.

2. კონტრაქტის მოქმედება იწყება იუნკერად ჩარიცხვის დღიდან. აღნიშნული ვადის დაანგარიშებისას გათვლისწინებული იქნება მხოლოდ ნამსახურები კალენდარული წლები.

3. თუ სამხედრო სამსახურის ვადა იწურება საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის ან საგანგებო სიტუაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის მოქმედება გრძელდება აღნიშნული მდგომარეობის /სიტუაციის დასრულებამდე.

მუხლი 3. სტიპენდია და შრომის ანაზღაურება

1. მოსამსახურეს სტიპენდია ან/და შრომის ანაზღაურება მიეცემა კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 4. სამინისტროს ვალდებულებები

1. სამინისტრო ვალდებულია: ა) დაიცვას მოსამსახურის მიმართ კანონმდებლობით და ამ კონტრაქტით დადგენილი პირობები, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიები; ბ) გასცეს კანონმდებლობით განსაზღვრული დანამატი თუ სამხედრო მოსამსახურე იმსახურებს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.

2. მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტრო მოსამსახურეს აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობით განსაზღვრული მისი უფლება-მოვალეობების შესახებ.

მუხლი 5. მოსამსახურის ვალდებულებები

მოსამსახურე ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, დასახული ამოცანები და განუხრელად დაემორჩილოს ზემდგომი სამხედრო მოსამსახურეების (მეთაურების) და თანამდებობის პირთა ბრძანებებსა და განკარგულებებს, ზუსტად და დროულად შეასრულოს ისინი;

ბ) მტკიცედ დაიცვას სამხედრო დისციპლინა, საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობები, მათ შორის სამხედრო ფიცის, ამ კონტრაქტისა და საჯარისო წესდებების მოთხოვნები, ერთგულად ემსახუროს საქართველოს, შეასრულოს მხედრული მოვალეობა;

გ) აიმაღლოს სამხედრო, ტექნიკური და ზოგადი ცოდნის დონე, მტკიცედ დაიცვას და არ გაამჟღავნოს მისთვის განდობილი სახელმწიფო თუ სამხედრო საიდუმლოება;

დ) გაუფრთხილდეს სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ სხვა ქონებას, თავის სამხედრო წოდებას, პატივსა და ღირსებას, არ ჩაიდინოს სამხედრო მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება;

ე) ზედმიწევნით დაეუფლოს და მეთაურის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიყენოს მინდობილი იარაღი, სპეციალური საშუალებები და საბრძოლო ტექნიკა;

ვ) სამხედრო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს უფლება: აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, სკოლისა და აკადემიის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, ასევე თვითმმარველობის უფლებასთან დაკავშირებული სხვა უფლება, თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ზ) არ გადავიდეს სასწავლებლად სხვა სასწავლებელში სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.

თ) ოფიცრის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, აღნიშნული კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, წერილობით შეატყობინოს ხელმძღვანელს, დათხოვნამდე არანაკლებ 2 თვით ადრე.

მუხლი 6. კონტრაქტის შეწყვეტა, პასუხისმგებლობის შემთხვევები და ოდენობები

1. სამინისტროს ინიციატივით, მოსამსახურის წინასწარი ინფორმირების გარეშე, მასთან კონტრაქტი ცალმხრივად შეწყდება და იგი გათავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან შემდეგ შემთხვევაში:

ა) დისციპლინის ან/და კონტრაქტის სისტემატიურად დარღვევის შემთხვევაში. სისტემატიურ დარღვევაში იგულისხმება სამხედრო სამსახურის გავლის ერთი წლის პერიოდში, ორჯერ ან მეტჯერ დარღვევა;

ბ) სამხედრო სამსახურიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი საფუძვლებით გათავისუფლების შემთხვევაში:

ბ.ა) ზღვრული ასაკის მიღწევა;

ბ.ბ) კონტრაქტის პირობების დარღვევა (მათ შორის მოსამსახურე აკადემიური მოუსწრებლობის გამო გაირიცხა აკადემიიდან ან უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამიდან (პირველი საფეხური));

ბ.გ) მხარეთა შეთანხმება;

ბ.დ) რეორგანიზაცია და შტატების შემცირება;
ბ.ე) ჯანმრთელობის მდგომარეობა (სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე);
ბ.ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;
ბ.ზ) სამსახურებრივი შეუსაბამობა;
ბ.თ) პირადი განცხადება (გამონაკლისის სახით), დასაბუთებული და შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული საპატიო მიზეზის (მძიმე ოჯახური მდგომარეობა, სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად გადასვლა) არსებობისას;
ბ.ი) საჯარო დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა;
ბ.კ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
ბ.ლ) განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება;
ბ.მ) ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და ფსიქოაქტიური ნივთიერების (საშუალების) მოხმარება ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
ბ.ნ) ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია სამხედრო სამსახურის/სამხედრო მოსამსახურის და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ;
ბ.ო) გარდაცვალება;
ბ.პ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
ბ.ჟ) „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა.
გ) საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის წარუმატებლად გავლის შემთხვევაში;
დ) მოსამსახურე საკუთარი ბრალეულობით (აკადემიური მოუსწრებლობა, დისციპლინური გადაცდომები ან სხვ.) გაირიცხა უცხო ქვეყნის სასწავლებლიდან და აკადემიის აკადემიური საბჭო არ უწევს რეკომენდაციას აკადემიაში სწავლის/სამხედრო სამსახურის გაგრძელებასთან დაკავშირებით;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის - „სასწავლებლიდან გარიცხვა“ დაკისრების შემთხვევებში;
ვ) თუ მას დაეკისრა ადმინისტრაციული პატიმრობა ან ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა ან/და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 45^1 მუხლებით გათვალისწინებული გადაცდომა.

2. კონტრაქტის პირობების დარღვევად ასევე ჩაითვლება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ვ“, „ბ.ზ“, „ბ.ლ“, „ბ.მ“, „ბ.ნ“, „ბ.პ“, „ბ.ჟ“, „დ“, „ე“, „ვ“, ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიზეზებით სამსახურიდან გათავისუფლება.
3. კონტრაქტის შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია:
ა) სამინისტროს ან მოსამსახურის ინიციატივით საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის მიმდინარეობის ნებისმიერ დროს.
ბ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, მოსამსახურის სურვილით კონტრაქტის შეწყვეტისას, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ან მის მიერ

უფლებამოსილი პირი, საპატიო მიზეზის არსებობის გამო დასაშვებად მიიჩნევს კონტრაქტის ურთიერთშეთანხმებით შეწყვეტას.
4. კონტრაქტი ვადამდე შეწყვეტილად ითვლება გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული თარიღიდან/ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან.
5. თუ მოსამსახურე ვადამდე იქნება გათავისუფლებული სამსახურიდან საკუთარი ინიციატივით ან ბრალეულობით (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“, „ბ.გ“, „ბ.დ“, „ბ.ე“, „ბ.თ“, „ბ.ი“, „ბ.კ“, „ბ.ო“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა), მას ეკისრება ჯარიმა შემდეგი ოდენობით:
ა) I კურსზე ყოფნისას კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში - 1500 ლარი;
ბ) II კურსზე ყოფნისას კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში - 2500 ლარი;
გ) III კურსზე ყოფნისას კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში - 4000 ლარი;
დ) IV კურსზე ყოფნისას ან მის შემდგომ პერიოდში კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში - 5000 ლარი.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ფინანსური პასუხისმგებლობა სამინისტროსთვის (სახელმწიფო ბიუჯეტისათვის) ანაზღაურებულ უნდა იქნეს კონტრაქტის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა.
7. მოსამსახურე სრულად, მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს მისთვის მინდობილი ქონების (მათ შორის ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობის, იარაღის, ტექნიკის და ა.შ.) უსაფრთხოებასა და მოვლაზე. მოსამსახურე მხოლოდ დროებით სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით.
8. მოსამსახურე პასუხისმგებელია იმ ზიანისთვის, რომელიც მან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავისი ბრალეული ქმედებით მიაყენა ფიზიკურ პირს ან/და სამინისტროს (იურიდიულ პირს) (მათ შორის ამ ზიანის სასამართლოს მიერ სამინისტროსათვის ან/და აკადემიისათვის დაკისრების შემთხვევაში).
9. იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით დააზიანებს ან დაკარგავს ან/და თავდაცვის ძალებიდან დათხოვნისას არ დააბრუნებს მასზე გადაცემულ ქონებას, იგი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტს) ქონების საბალანსო ღირებულება. ჩვეულებრივი მოხმარების დროს ქონების მიერ განცდილი ცვეთა მხედველობაში არ მიიღება).
10. მოსამსახურეს, ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული ფინანსური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვის წესით. ამასთან, ანაზღაურების ყოველი გაცემისას ყველა დაქვითვის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მოსამსახურის კუთვნილი ანაზღაურების 50% (ორმოცდაათი პროცენტი).
11. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში განსაზღვრული ჯარიმის აღსრულების უზრუნველყოფას სამინისტრო ახორციელებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტა

ამ კონტრაქტიდან გამომდინარე ამ/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა მხარეთა შორის წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკებით დავის გადაუწყვეტელობის შემთხვევაში, დავას განიხილავს და გადაწყვეტს სასამართლო.

მუხლი 8. სპეციფიური პირობები

1. სამხედრო სამსახურის გავლისა და სამსახურიდან დათხოვნის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსამსახურესთან მიმართებაში შეიძლება ცალმხრივად განისაზღვროს ამ კონტრაქტით განსხვავებული პირობები თუ ის არ აუარესებს მოსამსახურის მდგომარეობას.

3. მოსამსახურის მიერ იუნკერის სტატუსის დაკარგვის დადგომის ან უცხო ქვეყნის სასწავლებლიდან გარიცხვის შემთხვევაში, სამინისტროს უფლება აქვს მოსამსახურეს გააგრძელებინოს სამხედრო სამსახური და დანიშნოს შესაბამის თანამდებობაზე. ამ შემთხვევაში მასზე გავრცელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით რიგითის/კაპრალ/სერჟანტის იმ კონტრაქტის პირობები, რომელიც იმოქმედებს შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის დღეს თუ იგი დაინიშნა რიგითის/კაპრალის/სერჟანტის თანამდებობაზე.

4. უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითად პროგრამიდან (პირველი საფეხური) მოსამსახურის ამორიცხვის შემთხვევაში, თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის შუამდგომლობის საფუძველზე და თავდაცვის ძალების მეთაურის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის თანხმობით, სამინისტროს უფლება აქვს მოსამსახურეს ამავე კონტრაქტის საფუძველზე გააგრძელებინოს სამხედრო სამსახური და დანიშნოს თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფის ოფიცრის თანამდებობაზე. ამ შემთხვევაში, მოსამსახურეს ერთჯერადად მიეცემა შესაძლებლობა კვლავ გაიაროს უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამა (პირველი საფეხური), ხოლო ამ პროგრამიდან ამორიცხვის შემთხვევაში, იგი გათავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან ამავე კონტრაქტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. წინამდებარე კონტრაქტის გაფორმება იწვევს მოსამსახურესთან მის გაფორმებამდე მოქმედი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადამდე შეწყვეტას, რაც არ ჩაითვლება მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების (კონტრაქტის) დარღვევად და იგი გათავისუფლდება ჯარიმის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მხოლოდ წინამდებარე კონტრაქტის სრული ვადის ამოწურვის შემდეგ. კონტრაქტის ვადამდე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ბ“, „ბ.ვ“, ბ.ზ, „ბ.ლ“, „ბ.მ“, „ბ.ნ“, „ბ.პ“, „ბ.ჟ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე შეწყვეტისას, მოსამსახურეს ამავე კონტრაქტით დაკისრებულ ჯარიმასთან ერთად, ასევე დაეკისრება ამ კონტრაქტამდე მოქმედი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული ჯარიმის ანაზღაურების ვალდებულებაც.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. სამინისტრო უფლებამოსილია მისთვის მოსამსახურის ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ის, რაც არ არის დარეგულირებული ამ კონტრაქტით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. კონტრაქტის ცალკეული დებულების ბათილობა არ იწვევს კონტრაქტის დანარჩენი დებულებების ბათილობას. კონტრაქტის რომელიმე დებულების ბათილობის შემთხვევაში, მხარეები შეეცდებიან შეცვალონ ბათილი დებულება ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ბათილი დებულების შინაარსს.

3. თუ ძალაში შევა ისეთი საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებთან დაკავშირებით საჭირო ხდება ამ კონტრაქტში ცვლილების შეტანა, მხარეები მიმართავენ ყველა ძალისხმევას, რათა წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ ორმხრივად მისაღებ ცვლილებებზე.

4. კონტრაქტი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

სამინისტროს წარმომადგენელი ----------

მოსამსახურე ----------

აკადემიის წარმომადგენელი ----------

თანხმობა/დასტური

მე, მოსამსახურის კანონიერი წარმომადგენელი (----------(სტატუსი), პირადი N ----------) ---------- ----------(სახელი, გვარი) ამ კონტრაქტზე ხელმოწერით ვიძლევი თანხმობას (ვადასტურებ) მოსამსახურის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობაზე.

წარმომადგენელი ----------